არჩევნები 2025

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები საქართველოში 2025 წლის 4 ოქტომბერს გაიმართება.

შესაბამისი განკარგულება საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ ყაველაშვილმა გამოსცა. განკარგულება თანახელმოწერილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის მიერ.

4 ოქტომბერს საქართველოს მოქალაქეები აირჩევენ 64 საკრებულოს 2 058 წევრს, როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული სისტემით და 64 მერს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდება - ამომრჩეველთა თითქმის 90% საკუთარ არჩევანს ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების გამოყენებით დააფიქსირებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ქვეყნის მასშტაბით სულ გაიხსნება 3 051 საარჩევნო უბანი, რომელთაგან 2 284 უბანზე კენჭისყრა ელექტრონული, ხოლო 767 უბანზე ტრადიციული წესით ჩატარდება.